

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი განსაზღვრავს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37<sup>11</sup> და 37<sup>12</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შევსებისა და ჩაბარების წესს.

### მუხლი 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი და ოქმის რეკვიზიტები

1. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37<sup>11</sup> და 37<sup>12</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) უფლებამოსილი პირი (შემდგომში - უფლებამოსილი პირი).

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, მისი დაცვის სირთულეთა გათვალისწინებით, მიეკუთვნება მკაცრი აღრიცხვის ფორმის მესამე კატეგორიას („მარტივი ტიპი“).

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი; მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი; მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; სახდელის სახე, ოდენობა; მოწმეთა და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები, ასეთის არსებობის შემთხვევაში; სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება; საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენელი და სამართალდამრღვევი. სამართალდარღვევის ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ აგრეთვე მოწმეებმა და დაზარალებულებმა, მათი არსებობის შემთხვევაში. თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, მაშინ ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი დგება 1 (ერთ) ეგზემპლარად.

### **მუხლი 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი სრულდება გარკვევით და გასაგებად, დაუშვებელია ოქმში ნაწერის გადახაზვა, გადაშლა ან /და გადაფხეკა. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემის შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი. დაზიანებული ან არასწორად შევსებული ოქმი ჩამოიწერება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 4. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევისათვის ოქმის ჩაბარების წესი**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამართალდამრღვევისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება ოქმის საჯაროდ, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://rama.moh.gov.ge/>) გამოქვეყნების დღის 24:00 საათიდან, რომელი დროიდანაც პირი მიიჩნევა ადმინისტრაციულ სახდელდადებულად.